

მემორანდუმი  
MEMORANDUM of UNDERSTANDING

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

შპს „ქართულ-ამერიკულ სკოლასა“

და

შპს „საქართველოს უნივერსიტეტს“

შორის

Memorandum of Understanding  
Between

LLC Georgian-American School

and

LLC University of Georgia

წინამდებარე მემორანდუმი მიიღწევა შპს - საქართველოს უნივერსიტეტს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და შპს „ქართულ-ამერიკული სკოლას“ (შემდგომში „სკოლა“) შორის საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, კერძოდ კი სკოლაში ქართულ- და ინგლისურენოვანი საგნების სწავლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისათვის.

1. მხარეები განახორციელებენ საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობას. სკოლა და უნივერსიტეტი მჭიდროდ ითანამშრომლებენ სკოლაში ინფორმატიკის, მათემატიკის, ფიზიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, უცხო ენებისა და სხვა საგნების სწავლების მეთოდის, ასევე უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო (ქართულ- და ინგლისურენოვანი) პროგრამების განვითარების, სტუდენტთა ცოდნისა და გამოცდილების გაზრდისა და მომავალი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით და ამ კუთხით განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს.

2. პირველ პუნქტში მოცემული ურთიერთობის გარდა, ურთიერთთანამშრომლობა გამოიხატება შემდეგი ფორმებით:

2.1 სკოლის მიერ უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა პედაგოგიურ პრაქტიკაში;

2.2 საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზება უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის;

2.3 ორმხრივი თანამშრომლობა ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის სტუდენტების, სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარებისაკენ;

2.4 ერთობლივი სემინარების, შეხვედრების, ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციებისა და მსგავსი ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა და მათში მონაწილეობა;

LLC University of Georgia (hereinafter “UG”) and LLC Georgian-American School (hereinafter “School”) have agreed to sign the following Memorandum of Understanding with the purpose of fostering cooperation, mutual understanding and development in the field of education, namely facilitating implementation of modern technologies in teaching programs (Georgian and English Language) at School, implementation of Bachelor's, Master's and Doctoral programs at UG.

1. The parties to this agreement, School and UG, will engage in educational cooperation, including but not limited to conducting the activities which are oriented on the development of methodology of teaching informatics, mathematics, physics, history, geography, foreign languages and other programs at school, Development of Bachelor's, Master's and Doctoral programs (Georgian and English Language) at UG and support students to enhance their knowledge and experience and future employability skills.

2. In addition to the forms of collaboration, as indicated in paragraph 1, the following forms of cooperation are envisaged:

2.1. Providing UG's students with teaching practice by School;

2.2. Conducting public lectures, seminars, trainings and masterclasses for UG students and School pupils;

2.3. Mutual support in the planning and execution of joint events dedicated to UG students', School pupils and teachers' educational and professional development;

2.4. Organisation and participation in joint seminars, meetings, olympiads, competitions, conferences.

2.5. Cooperation in other fields related to educational aspects; common access to educational resources (with the condition that the resources are used on the spot);

2.6 Cooperation is scientific-research activities – involving UG students in school research; involving School pupils in international programmes;

2.7. UG and School club cooperation; supporting School pupils to prepare for university life;

3. The present memorandum may be supplemented by more detailed working plans (subagreements) prepared periodically for each activity/event.

მემორანდუმი  
MEMORANDUM of UNDERSTANDING

2.5 საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებში/სფეროებში თანამშრომლობა, საგანმანათლებლო რესურსებთან ორმხრივი წვდომა (საბიბლიოთეკო რესურსების ადგილზე გამოყენების პირობით);

2.6 სამეცნიერ-კვლევით საქმიანობაში ურთიერთთანამშრომლობა - უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა (მონაწილეობა) სასკოლო კვლევებში; სკოლის მოსწავლეთა ჩართვა საერთაშორისო პროგრამებში;

2.7 უნივერსიტეტის სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა კლუბების თანამშრომლობა, სკოლის მოსწავლეთა მომზადება საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის.

3. წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია დაზუსტდეს დამატებითი შეთანხმებების ფორმით, რომელიც მომზადდება პერიოდულად, კონკრეტული ღონისძიებისათვის.

4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილება ან დამატება შესაძლებელია შევიდეს ნებისმიერ დროს, ერთ-ერთი მხარის ინიციატივისა და ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

5. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. იგი შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე ორ ეგზემპლარად. თითო მხარეს დარჩება ერთი ეგზემპლარი. ორივე ენაზე არსებულ ტექსტს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

4. Amendments to the memorandum can be suggested by either party and added at any time by agreement of both parties.

5. The memorandum will be valid from the date of signing by both parties. This memorandum may be terminated by written notification by either party.


6. This memorandum has been prepared in two copies in Georgian and English, and each party will retain one original copy. Both languages have equal legal force and effect.

შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა“ ს/კ 404965169


შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ ს/ნ 205037137

For and on behalf of LLC Georgian-American School I/N 205172917

For and on behalf of LLC University of Georgia I/N 205037137



დირექტორი, ირმა მესხიშვილი  
Director, Irma Meskhishvili  
21.02.2018



ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლის  
დირექტორი, კახაბერ თავზარაშვილი  
Dean of the School of IT, Engineering and Mathematics, Kakhaber  
Tavzarashvili  
21.02.2018